



სსიპ ღვეან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

2016 წელი

ქ. თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი	2
ტექნიკური მოთხოვნები	3
ტექნიკური დავალება	4
დანართი №1	5
დანართი №2	6
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი	10

ტექნიკური მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:

1. სატენდერო წინადადების ღირებულებას;
2. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ლიცენზიას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შესახებ;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას ;
4. სადაზღვევო პირობებს (გამონაკლისები და სხვა პირობები რის მითითებასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი);
5. ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად;
6. პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

- სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების ჩათვლით;
- შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-3 სართული, საკონტაქტო პირი: თეონა როსტომაშვილი 598 344 454.
- ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.
- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტი ვალდებული იქნება წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტის შესაბამისი დასკვნა, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, პრეტენდენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმხორციელებელი ორგანოს/პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი და აკრედიტაციის სფერო, რომელიც უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას.

ამასთან, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების (ექსპერტიზის დასკვნის) წარმოუდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის მე-11 მუხლის 2¹ პუნქტი.

ტექნიკური დავალება

- ❖ შესყიდვის ობიექტი: 42 (ორმოცდაორი) ერთეული ავტომანქანის დაზღვევა (CPV კოდი 66514110) ძრავიანი ავტომობილების დაზღვევა;
- ❖ დაფინანსების წყარო: 2017 წლის საკუთარი სახსრები;
- ❖ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 23400,00 (ოცდასამი ათას ოთხასი) ლარი.

- დაზღვევის ტერიტორია - საქართველო;
- სადაზღვევო პერიოდი: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 24 საათის განმავლობაში, 2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, დასვენების დღეების გათვალისწინებით.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა უნდა განხორციელდეს ნულოვანი ფრანშიზის გათვალისწინებით, როგორც ნაწილობრივი, ასევე სრული ზიანის შემთხვევაში;
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სადაზღვევო ტარიფის (პრემიის) გამომანგარიშების ფორმულა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით, გამოსახული პროცენტული ოდენობით.
- ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებად (განადგურება) ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან განადგურებულია ავტომანქანის 70% ან მეტი;
- სრული ზარალის შემთხვევაში, დამზღვევის არჩევანის შესაბამისად, მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბალანსო ღირებულება ან მოახდინოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მსგავსი ავტოტრანსპორტით ჩანაცვლება.
- ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, ზარალის შეფასება/ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს ავტომობილის შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში მიუხედავად დაზღვეული ავტომობილის წლოვანებისა და იმის მიუხედავად ავტომობილი იმყოფება თუ არა საგარანტიო სერვისზე, ამასთან, ზარალის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ყველა ხარჯის გათვალისწინებით მათ შორის დ.დ.გ-ს ჩათვლით (აღნიშნული პირობა გავრცელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან დადებულ ხელშეკრულებაში).
- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნებისმიერ თანამშრომელს, რომელსაც გააჩნია მოქმედი მართვის მოწმობა.
- სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- ზარალის ანაზღაურება მზღვეველის მიერ უნდა მოხდეს საჭირო დოკუმენტების წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.
- ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს 80 ერთეული, ავტომობილის მინაზე სალონის მხრიდან მისაკრავი თვითწებვადი საინფორმაციო ნიშანი (სტიკერი) და 80 ერთეული ავტომობილის სალონში მისაკრავი თვითწებვადი საინფორმაციო ნიშანი (სტიკერი) სურათი N1-ის შესაბამისად.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტა – ლარში, ყოველკვარტალურად (ანგარიშსწორების გრაფიკი შესაძლებელია დაზუსტდეს გამარჯვებულ პრეტენდენტთან).

სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი			
№	სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი	ანაზღაურების ლიმიტი	ფრანშიზა %
1	<p>ა) ავტოსაგზაო შემთხვევა;</p> <p>ბ) ხანძარი, აფეთქება, თვითააღება, მეხის დაცემა;</p> <p>გ) სტიქიური უბედურება (სეტყვის, წყალდიდობის ჩათვლით);</p> <p>დ) დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების, აქსესუარებისა თუ სხვა დეტალების დაზიანება ან/და ქურდობა;</p> <p>ე) ავტოტრანსპორტის გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;</p> <p>ვ) სხვადასხვა საგნის დაცემა;</p> <p>ზ) მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი;</p> <p>თ) ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები;</p> <p>ი) სრული განადგურება.</p>	სადაზღვევო თანხის ფარგლებში	0.00%
2	სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე	15 000 ლარი	0.00%

შენიშვნა:

- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული უნდა იყოს (არსებობის შემთხვევაში) საერთო გამონაკლისი შემთხვევები, რომელიც უნდა იყოს ლოგიკური და დასაბუთებული და არ უნდა იყოს შეფასებითი;
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს, ავტომობილის ევაკუაციის საჭიროების შემთხვევაში, მზღვეველმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილზე ევაკუატორის გაგზავნა და ავტომობილის გადაყვანა დამზღვევის მიერ მითითებულ ადგილზე, ამასთან, ევაკუაციის ხარჯების დაქვითვა მოხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ლიმიტიდან.
- ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, ზარალის შეფასება/ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს ავტომობილის შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში მიუხედავად დაზღვეული ავტომობილის წლოვანებისა და იმის მიუხედავად, ავტომობილი იმყოფება თუ არა საგარანტიო სერვისზე, ამასთან, ზარალის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ყველა ხარჯის გათვალისწინებით მათ შორის დ.დ.გ-ს ჩათვლით.

პრეტენდენტის დასახელება:

ხელმოწერა _____ ბ.ა.

ფასების ცხრილი

N	ავტომობილი	სახელმწიფო ნომერი	რაოდენობა	გამომშვების წელი	საბალანსო ღირებულება	სადაზღვევო პერიოდი	სადაზღვევო ტარიფი			
							% - პროცენტულად	თანხა	სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე	სულ:
1	HYUNDAI GETZ	HWH-227	1	2010	1,450.60	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
2	HYUNDAI GETZ	HWH-226	1	2010	1,450.60	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
3	HYUNDAI GETZ	HWH-225	1	2010	1450.62	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
4	KIA OPTIMA	QUQ-363	1	2011	13,211.58	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
5	KIA CERATO	LML-758	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
6	KIA CERATO	SOO-156	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
7	KIA CERATO	KIZ-767	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
8	KIA CERATO	ILI-180	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
9	KIA CERATO	LML-761	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
10	KIA CERATO	EQS 700	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				

11	KIA CERATO	LML-219	1	2011	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
12	KIA CERATO	LEV-473	1	2010	9,082.95	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
13	KIA OPTIMA	UTU-050	1	2011	13,211.58	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
14	HYUNDAI I 20	KET-604	1	2011	7,724.97	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
15	HYUNDAI I 20	LML-393	1	2011	7,724.98	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
16	KIA RIO	CJC-592	1	2012	7,542.50	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
17	KIA RIO	VVU-242	1	2012	9,460.00	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
18	Ford Tranzit	VVU-017	1	2012	9,418.75	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
19	Ford Tranzit	VVU-018	1	2012	9,418.75	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
20	KIA RIO	VWW-743	1	2012	10,080.00	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
21	KIA RIO	WW0-438	1	2013	11,426.40	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
22	KIA RIO	WWO-437	1	2013	11,426.40	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
23	KIA RIO	WW0-439	1	2013	16,560.00	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
24	KIA CERATO	CQQ-138	1	2013	16,560.00	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				

25	KIA CERATO	BBU-136	1	2013	19,920.00	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
26	HYUNDAI GENESIS	WO - 080 - WO	1	2013	50,720.52	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
27	TOYOTA LANDCRUISER	JGJ-010	1	2010	39,714.98	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
28	TOYOTA HILUX	NFB-001	1	2013	35,317.76	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
29	RENAUT DUSTER	FFI-512	1	2014	19,398.00	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
30	HYUNDAI ACCENT	FFI-584	1	2013	13,241.15	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
31	HYUNDAI ACCENT	FFI-583	1	2013	13,241.15	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
32	HYUNDAI ACCENT	FFI-592	1	2013	13,204.96	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
33	HYUNDAI ACCENT	FFI-591	1	2013	13,241.16	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
34	HYUNDAI ACCENT	FFI-593	1	2013	13,204.96	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
35	RENAULT DOKKER VAN	FFI-514	1	2014	15,198.31	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
36	HYUNDAI ACCENT	FFI-581	1	2013	13,241.15	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
37	HYUNDAI ACCENT	FFI-582	1	2013	13,241.15	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
38	HUNDAI ACCENT	FFI-594	1	2013	13,241.15	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				

39	SUZUKI CROSS	LG 743 GL	1	2015	23,125.21	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
40	SUZUKI CROSS	LG 742 GL	1	2015	23,125.21	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
41	RENAUT LOGAN	LG 605 GL	1	2015	15,383.12	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
42	SKODA OCTAVIA	AF-689-FA	1	2014	21355.89	2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
				<i>სულ:</i>	<u>589,897.16</u>					

პრეტენდენტის დასახელება:

ხელმოწერა _____ ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №---

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, ----- 2017 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, ----- წარმოდგენილი ----- სახით (შემდგომში - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა“ „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით - 66514110 ძრავიანი ავტომობილების დაზღვევა - გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე, საერთო თანხით ----- ლარი (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.

4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს -----.

5. ხელშეკრულება შედგენილია ---- გვერდზე, 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84
ტელ: (995 32) 2 25 84 84

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707767126
ს/კ 204852089

„მიმწოდებელი“

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მუმლაძე

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. მომსახურება - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი. 1.6. „მზღვეველი“ - პირი, ----- *;
- 1.7. შემსყიდველი (დამზღვევი) - პირი, ----- *;
- 1.8. დაზღვეული - პირი, ----- *;
- 1.9. მოსარგებლე - პირი, ----- *;
- 1.10. სადაზღვევო პოლისი ----- *;
- 1.11. სადაზღვევო თანხა ----- *;
- 1.12. სადაზღვევო ღირებულება – დანართი №1-ით (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) განსაზღვრული ავტოსატრანსპორტის ღირებულება;
- 1.13. სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს წინამდებარე პირობების საფუძველზე;
- 1.14. სადაზღვევო პრემია - ----- *;
- 1.15. სადაზღვევო ტარიფი - სადაზღვევო პრემიის სიდიდე გამოხატული პროცენტულად სადაზღვევო თანხიდან, რომლის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პოლისით;
- 1.16. შემთხვევა - ----- *;
- 1.17. სადაზღვევო შემთხვევა ----- *;
- 1.18. სადაზღვევო რისკი ----- *;
- 1.19. უფლებამოსილი მძღოლი - ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყველა თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია მოქმედი ავტოსატრანსპორტის მართვის მოწმობა;
- 1.20. მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობა - დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანისათვის (ეს პირობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ზიანის დადგომის მომენტისათვის იმყოფებოდნენ დაზღვეულ ავტოსატრანსპორტში, მათთვის მიყენებული ზიანი განიხილება, როგორც უბედური შემთხვევა)*.

2. ხელშეკრულების საგანი *

2.1 სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრული დაზღვევა ნულოვანი ფრანშიზით შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან:

ა) ავტომობილის დაზიანება ან განადგურება (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით,

- ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);
- ბ) ავტომობილის გატაცების მცდელობა (კერძოდ: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა);
- გ) დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობა;
- დ) ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ე) მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა ანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი;

3. ხელშეკრულების ღირებულება *

- 3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.
- 3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და გარდა შემსყიდველის მიერ დამატებითი ავტომობილების დაზღვევის მოთხოვნისა.
- 3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები *

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) განიხილოს შემსყიდველის პროექტები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
 - ბ) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;
 - გ) განახორციელოს ავტოტრანსპორტის დაზღვევა ნულოვანი ფრანშიზით;
 - დ) დაზღვევის დამადასტურებლად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
 - ე) უზრუნველყოს 24 საათიანი ასისტანსი;
 - ვ) მიიღოს დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;
 - ზ) შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ სადაზღვევო ანაზღაურების თანხის განსაზღვრისათვის;
 - თ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
 - ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
- 4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
 - ა) გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადებში;
 - ბ) შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
 - გ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველის 24 საათიან ასისტანსს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 48 (ორმოცდარვა) საათის

განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

დ) მზღვეველის წარმომადგენლის (აგრეთვე შსს ორგანოების წარმომადგენლის) შემთხვევის ადგილზე გამოცხადებამდე არ მოახდინოს ზიანის დადგომის მომენტში არსებული ვითარების შეცვლა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ზარალის ოდენობის შემცირების ან ზიანის შემდგომი განვითარების თავიდან აცილებისათვის);

5. მხარეთა უფლებები *

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- ა) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;
- ბ) მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს დაზღვევის პირობები;
- გ) მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება, საკუთარი ხარჯებით, იმ ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც აქვს საექსპერტო შეფასების უფლება.

5.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- ა) გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში;
- ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაათვალიეროს ავტოტრანსპორტი;
- გ) დამზღვევის დასწრებით (თუ ეს შესაძლებელია), შეადგინოს დაზიანებული ავტოტრანსპორტის დათვალიერების აქტი;
- დ) ავტოტრანსპორტის დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას;
- ე) შეადგინოს შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;
- ვ) არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას;
- ზ) მიანიჭოს დამზღვევს (დაზღვეულს) შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულვებელყოფდეს წინამდებარე პირობები;

6. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა *

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2. ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ინსპექტირების ჯგუფის წევრები.

7.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის, გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

9. ანგარიშსწორება *

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 და 6.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ასეთ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11.2. ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5 %-ის ოდენობით.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

12.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. დავების გადაწყვეტა

15.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.